№ 49 მარტი 7, ოთხშაბათი 1890 მარტი 7, ოთხშაბათი № 49

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

გაზეთი ღირს. ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

თავადი ალექსანდრე ქაიხოსროს ძე და გნეინა ელისაბედ სოლომონის ასული ფავლენიშვილები, პოდპოლკოვნიკი ესტატე, დიმიტრი და დავით ალექსანდრეს ძენი ფავლენიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი შვილისა და დანარჩენი ძმისა თვისისა ივანე ალექსანდრეს ძის ფავლენიშვილისა და სთხოვენ მობრძანდნენ საკუთარს სახლში ავჭალის ქუჩაზედ № 29 პანაშვიდის მოსასმენად ოთხშაბათს და ხუთშაბათს დილის 12 საათსა და საღამოს 7 საათზედ. ეკკლესიაში განსვენების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 მარტს,

ტფილისის საბალოსნო სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაგრატ IV**

ისტორ. დრამა 4 მოქ., კ. მესხისა.

II

ერიდეთ ცეცხლსა

დრამატ. ეტიუდი 1 მოქ.

III

დივერტისმენტი და ლეკური

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ნ. ერისთავი, გაყაოფშაველა (რაზიკაშვილი), ნებიერიძე, მიქელაძე, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

*** ამ ქამად ტფილისში იმყოფება თორმეტამდე ინგლისელი, რომელნიც ლონდონიდგან მიემგზავრებიან თეირანში (სპარსეთში), რათა სპარსეთის მთავრობას მოელაპარაკონ სპარსეთში რკინისა და საფოსტო გზების გაკეთების თაობაზე. ამ ორ-სამს დღეში ანგლისელებმა უკვე დაათვალიერეს სხვა-და-სხვა შესანიშნავი ადგილები ტფილისისა. მაგალითად, სიონის ტაძარი, საბატანიკო ბაღი, ძველი დანგრეული ციხე ნარიყალისა, ძველი დანგრეული ობსერვატორია, გრიბოედოვის საფლავი და სხვა ამ გვარი ალაგები.

*** ჩვენს პროვინციალურს ქალაქებში თანდათან სტამბები და წიგნის მაღაზიები უფრო და უფრო ვრცელდება და იმართება. აგერ რამდენიმე თთვეა, რაც ოზურგეთში გაიმართა სტამბა წიგნის მაღაზიითურთ და გორში ხომ უკვე არსებობს ერთიცა და მეორეც. აქამდე მხოლოდ კახეთი იყო უკან ჩამორჩენილი ამ მხრივ და თელავსა და სიღნაღში წიგნის ყიდვა და რისამე დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელი იყო. ეხლა, როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო ნათქვამი, ბ ნმა ხელაძემ მოიწადინა თელავში სტამბის გამართვა და უკვე გაჰგზავნა კიდეც სტამბის მოწყობილობა და ასოები სტანოკითურთ. ამას გარდა ბ-ნ ხელაძესვე განუზრახავს თელავში სტამბასთან დააარსოს აგრეთვე წიგნის მაღაზია და წიგნთ-საკითხავი.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთაგან შემოწირული 21 მან. განსვენებულის დიმ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამავე ფონდის სასარგებლოდ მოგვივიდა სამეგრელოდგან ცაიშის ეკკლესიის დეკანოზის მიხეილ მეუნარგიასაგან 10 მან. სულ 31 მან. წინად იყო 379 მან. სულ შესდგა 410 მან.

*** სურამიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ამ თთვის 4 ს იქ თავი მოუკლავს რევოლვერით სამხედრო წოდების კაცს, ხაზინადარს ბ-ნ მასალოვს. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ-ჯერობით ნამდვილად არავინ არ იცისო.

*** ცხინვალი: ამას წინად თ. მ—ის „აპეკუნმა“ მიჰყიდა ვენახი ცხინვალში მცხოვრებელს გლეხს სანდრო კასრაძეს. ვენახი ეკუთვნოდა წინად გლეხს რომელაშვილს და შემდეგ ხსენებულ თ. მ—ის აპეკუნს რგებოდა რომელაშვილისაგან. პატრონს ვენახი დროზედ ვერ შეუსყიდნია სხვა-და-სხვა მიზეზის გამო. ორი-სამის კვირის შემდეგ რომელაშვილმა იშოვნა ფული, მიუტანა მებატონეს და უთხრა, რომ ჩემი ვენახი ისევ მე მინდა შევისყიდოვო. მებატონემ უპასუხა, რომ თუ გინდოდა, როდესაც რამდენჯერმე გამოგიცხადე, რატომ მაშინ არ ინდომე და არ იყიდე. ეხლა სხვას მივყიდე და შეშლა აღარ იქნებაო. ამ პასუხს შემდეგ დაბრუნდა რომელაშვილი, შეჰყარა შვიდიოდე მეზობელი და სახლის კაცები, მიუხტა ვენახში მომუშავე მამაშვილს კასრაძეებს და დაუშინეს კეტები. სანდრო კასრაძეს გაუტეხეს სამგან თავი. სცემეს იმის შვილს და რამდენიმე კეტი მოარტყეს იქვე მყოფ საწყალს კასრაძის ცოლს. გამწარებულმა კასრაძემ იშიშვლა ხანჯალი და დაუშინა თავში რომელაშვილის სახლიკაცსა. ამ ხანად დაჭრილი რომელაშვილი და კეტით თავ-პირ დამტვრეული სანდრო კასრაძე ძალიან ავად არიან. არავინ იცის, გადარჩებიან თუ არა.

*** იმერეთი: წარსული წელი სწორედ უბედური წელიწადი იყო იმერლებისათვის. ღვინის მოსავალი ხომ მოგვესპო და მოგვესპო, მაგრამ არც სხვა ჭირნახულს დაუჯილდოებია მუშა-კაცის შრომა ტოფლი. სიმინდი იმოდენა მოვიდა, რომ იშვიათს გლეხს შეუძლიან მოსავლამდის თავი გაიტანოს და უმეტესი ნაწილი ხომ შემოდგომიდგანვე ყიდულობს. ამ მოუსავლობას ქურდობაც მოჰყვა. ცუდი მოსავალი იყო, ბატონო, ვისაც ცოტა რამ გააჩნდა, სულ ქურდებმა გაიხადეს ლუკმად. ჯერ მიჰყვეს ხელი პურ-ღვინისა და წვრილ-ფეხობის პარვას, მერე გადავიდნენ სხვილ-ფეხის, მაგალითად, ძროხების, ხარებისა და ცხენების პარვაზე, ბოლოს-კი, როცა კარგად დახელოვდნენ, მგზავრების თავს დასხმა და ოჯახებში მიხტომა იწყეს. ამ უმაღლეს წერტილამდის დახელოვნებული და განვითარებული ქურდი-ყაჩაღები უფრო ხშირად ჩვენს ამაშუკეთის საზოგადოებას ეწვეოდნენ ხოლმე წარსულს წელწ. აქ რამდენიმე ისეთი თავს დასხმა და ოჯახების აკლება-აწიოკება მოხდა, რომლის გამოც მთელი ამაშუკეთის საზოგადოება აქამომდე განცვიფრებულია. ეს განცვიფრება აქაურებისა სრულებით არ არის უადგილო, თუ

## ფელეტონი

ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

IV*)

ნიკო, წიგნის კითხვით დაღალული, სავარძელში მისვენებული, თავის მოქმედების პროგრამის ფიქრში იყო გართული! შუა-ღამე გადასული იყო.

— ერთის სიტყვით, წამოიძახა ნიკომ უეცრად: მოვალე ვარ ჩემის სოფლისა და ქვეყნის წინაშე და მაშ უნდა გადავიხადო კიდეც ეს ვალი; უნდა გადავიხადო და მოვკვდე პატიოსანი, რომ ვალი თან არ წამყვეს. აი მთელი ჩემი პროგრამა!

— ვის ელაპარაკება? მოესმა ვილაცას ხმა გარედგან და ნიკო სარკმლისაკენ გაეშურა.

— ვინა ხართ მანდა! დაეკითხა ნიკო, სიბნელეში მიმავალს ორ კაცს.

— სოფლის ყარაულები გახლავართ, შენი ჭირიმე, უპასუხა ერთმა.

ნიკომ ისევ მიხურა სარკმელი. კაცებმა სიცილი დაიწყეს.

— სად მოგაგონდა ივანე, მაგის თქმა, უთხრა სიცილით ერთმა.

— აი, შვილოსა, გეტყობა ახლად ხარ ჩაფრათ შესული. ჩემოდენა ემსახურე და შენც მოგაგონდება.

— მაშ ჩვენ ნულარ დაეაგვიანებთ; უფროსი გაგვიწყრება; ხომ ჰხედავ, სოსე მანდ არ არის, ეგ უფრო კარგი. მეც ეგ მინდოდა. ეხლა შენ წადი სოსესთან და უთხარი, უფროსი გიბრძანებს-თქო. თუ გკითხოს რათაო, ნურას ეტყვი — არ ვიცი თქო. მე მანამდინ უფროსს მოველაპარაკები და მერე აქვე ღობის ძირში მოგიცდი. ჩვენი ნიშანი ხომ გახსოვს?

— მოიცა, კიდე სთქვა, დამავიწყდა.

— რამ დაგავიწყა! თუ შეიტყე, რომ ეჭვი აულია, ან შიო უნახავს, დაახველე.

— თუ არა?

— რა თუ არა?! თუ არა, ნუ დაახველებ.

ივანე გაშორდა, მაგრამ ჩაფარი დაფიქრებული ფეხს არ ადგამდა.

— რას დგეხარ, ბიჭო, რატომ არ მიდიხარ?

— მეცოდება, ივანე... ვერ წავალ.. სხვა გაგზავნე ვინმე!

ივანემ ხარხარით ხელი დაუქნია და მოშორდა. ჩაფარი ცოტა ხანს კიდე შესცქეროდა მიმავალ ივანეს, მერე მოტრიალდა: „ცოდო შენი იყოს, მე ხელი დამიბანიაო“, წაიჩურჩულა თავისთვის და სოსეს სახლისკენ გასწია.

— ვინა ხარ, მოესმა ჩაფარს სოსეს ხმა, როდესაც მან კარები დაუკაკუნა და ქრქოლამ ტანში დაუარა.

— მე ვარ, ჩაფარი, უფროსი გიბძანებს — მალე მოდიო.

— რად უძახის, ბიჭო? ჰკითხა ლათომ! როდესაც სოსემ კარები გაალო, მაგრამ ჩაფარმა პასუხი არ გასცა და ჩუმად, თავჩაღუნული სოსეს უკან გაჰყვა. ღობეს რომ გაუსწორდნენ, სოსემ გაოცებით შეხედა ჩაფარს, რომელიც გულიანად ვილაცას სწყევლიდა, მაგრამ ნამძინარევს ხმის ამოღება დაეზარა, რომ ეკითხა, ვისა სწყევლიო.

უფროსი ტახტზე წამოწოლილი ტკბილად იღიმებოდა, როდესაც სოსე იქ შევიდა.

— გამარჯობა, უთხრა მან ალერსით სოსეს: შენ ვერც-კი მიხვდებოდი, რისთვის დაგიძახე!

— რას მივხვდებოდი, ბატონო, კულთმისანი ხომ არა ვარ, მიუგო სოსემ.

უფროსმა ჩაიცინა.

— იცი, ბიჭო, რისთვის დაგიბარე!! ბარე ოთხი კაცი მოვიდა ჩემთან და გამომიცხადეს, ვითომ ქურდი შენა ხარ. შენ ნუ შეგეშინდება, დაუმატა უფროსმა, როდესაც სოსეს აღელვება შეატყო. იმ ოთხის კაცის სიტყვით შენ ვერც ციმბირში გაგგზავნი და... კანონშიაც არა სწერია ეგა.

— თქვენი ნებაა...

— მე არა მჯერა იმ კაცების სიტყვა, გააწყვეტინა მან სოსეს ლაპარაკი: შენი ქება ბევრისგან გამიგონია, მაგრამ, ძმაო, კანონს ვერ გადუდგები, ეხლავე უნდა დაგიჭირო.

სოსე კანკალმა აიტანა და გამართლებასაც ვერ ახერხებდა.

— აკი გეუბნები, ნუ გეშინიან-მეთქი, ამშვიდებდა უფროსი, ხვალ დილა ადრიან შევყრი სოფელს და თუ ტყუილი გამოდგა, შენ მიყურე მაშინ, რა დღე დავაყენო შენს დამბეზღებლებს! ეხლა-კი, ჩემო ძმაო, გათენებას არა უკლია რა, შენცა ჰხედავ, და როგორმე გასძელი.

ამ სიტყვებით უფროსმა დაუძახა ორს ჩაფარს და უბრძანა სოსე ჩაეჩწყვდიათ. სოსემ თავი ჩამოჰკიდა. „სახლში... შინ.. არ გავიპარები“. წაილუღლუღა და მონასავით ჩაფრებს გაჰყვა. ჯერ ნახევარი გზა არ გაევლოთ, რომ სოსეს ხველების ხმა მოესმა. უნებლიედ უკან მიიხედა და კანცელარიასთან დაინახა ვილაც თეთრად ჩაცმული ქალი, რომელსაც წინ ვილაც კაცი მოუძღოდა. სოსე უეცრად შეჩერდა და გულმა ძგერა დაუწყო.

— რას გაჩერდი, გაიარე, უთხრეს ჩაფრებმა და ხელი ჰკრეს, მაგრამ სოსე ლომსავით მკერდ-გადმოგდებული უგრძნობლად შესცქეროდა იმ ორს ადამიანს, რომელნიც კანცელარიაში შედიოდნენ.

— არ გესმის, გაიარე-მეთქი, უთხრა ხელ-მეორედ ჩაფარმა.

— მოიცა!.. უპასუხა ხრინწიანის ხმით სოსემ და ორივეს მკლავებში ჩაავლო ხელი აღელვებით: უცბად მოესმა საზარელი კივილი ქალისა.

— ვაი!. დაიბღავლა ნადირივით სოსემ, საშინელის ღონით მიანარცხა ერთმანეთს ჩაფრები, წაქცეულებს ვეფხვსავით გადაახტა და ერთს წამსაც არ გაევლო, რომ თავისის მკერდით შეანგრია კანცელარიის კარები და თავს ზარ-დაცემულს უფროსს მეხივით დაეცა თავს.

— ჰაი, შე ულმერთო! ერთი-კი დაუღრიალა სოსემ და, გულ-წასული, ხალასავით ლათოს ფეხთით წამოიქცა.

— შეჰკარით, მაგრა შეჰკარით, ეგ მხეცი, ეგა! უყვიროდა უფროსი ჩაფრებს, როდესაც ნიკო იქ შევარდა.

*) იხ. „ივერია“ № 45, 46 და 48.

მიიღებთ სახეში, რომ აქაურს არასოდეს არავის არ შესწამებია არა თუ ისეთი ავაზაკობა, როგორიც აქ ხდებოდა შარშან ზაფხულს და შემოდგომას, უბრალო ქურდობაც-კი. მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ შორიდგან მოსული კაცი იმდენს ვერას იზამს, თუ ერთი არი ვაჟბატონი ჩვენშიაც არ ერიოს ისეთი, რომლებიც ხელს უწყობენ შორიდგან მოფრენილ გვრიტებს ჩვენ აწიოკება-აკლებაში, და ჩვენი სისუსტეც ის არის, რომ ეს ერთი-ორი ვაჟბატონი აქამომდე ვერ გვიცვნია და ვერ მოგვიცილებია თავიდგან.

კიდევ იღბალი, რომ წარსულმა წელმა გიორგობისთვის პირველ რიცხვებიდგან ცუდი ამინდები დაიჭირა და ეს სამი-ოთხი თთვეა შესანიშნავი ავაზაკობა არ მომხდარა. მაგრამ რა გამოვიდა? ერთხელ მელისაგან შეშინებულმა ძაღლმა სამს წელიწადს ჯირკს უყეფაო, რომ იტყვიან, აქაურებს დაგვემართა შარშანდელმა ქურდობა-ავაზაკობამ ისე გააფრთხილა და გამოაფხიზლა ხალხი, რომ დღეს ყველას, ვისაც გააჩნია რამე და არ გააჩნია, ძილის დროს საწოლში უდაგია ყოველნაირი იარაღი და მზად არის ყაჩაღს ყაჩაღურად დახვდეს. განსაკუთრებით თავ-გამოდებულია ავაზაკობის მოსპობისათვის სასულიერო წოდება და თავად-აზნაურობა. ამ თავ-გამოდებას არც ამაოდ ჩაუვლია ამ ერთის კვირის წინად ამაშუკეთში მოვიდა წიფის პოლიციის ბოქაული და მამასახლისს უბრძანა, ყოველ ღამე გამოიწვიე ხოლმე საკმაო რიცხვი ღამის ყარაულებისა და საფრთხე ადგილებზე დააყენეო. იმავე დღეს პოლიციის ბოქაულმა დირექტორის მონდობილობით წინადადება მისცა ხალხს სასოფლო სკოლის განკარგებისა, მაგრამ საზოგადოებამ ერთ-ხმად იღრიალა: „არ გვინდა კლასი, არ გვინდა! გავტყავდით ხალხი და მაგაში ნასწავლი ჯერ არავის გვინახავსო!“ ერთის სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, ისეც მოხდა. რადგანაც ეს სკოლა, როგორც ამას წინად ვსთქვით, ერთობ დაუმარჯვებელია მცხოვრებისათვის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მეორე განკარგულებაც (ყარაულებ შესახებ) ჯერ-ჯერობით უყურადღებოდ არის დატოვებული.

*** სოფ. დორეშა (იმერეთი). შვიდს თებერვალს სეფ. დორეშას მამა სიმონ კურტანიძის მიერ აგებულ სასკოლო შენობაში დაიწყო სწავლა. ამ დღისათვის მოწოდებული იყვნენ ყმაწვილები და მათი მამები. სკოლის შენობა აკურთხა ბლაღ. მღვდელმა ერმოლაოზ ვეფხაძემ, რომელიც სულითა და გულით მოწადინებულია სამრევლო სკოლების გამრავლებასა და განკარგებას. როცა სასკოლო შენობა ასხურა აიაზმის წყლით, მამა ბლაღოჩინი მიიქცა ხალხისაკენ, მიულოცა სკოლის გამართვა და აუხსნა სწავლა განათლების მნიშვნელობა საზოგადოდ და კერძოდ—მნიშვნელობა იქ შეკრებილ ყრმათათვის იმ მცირე სწავლისა, რომელსაც ისინი მიიღებენ ახლად დაარსებულ საეკკლესიო სკოლაში. იქვე ოცამდე კაცმა განაცხადა ბავშვის შემოყვანის სურვილი. დღეს ამ სკოლაში ორმოცამდე ყმაწვილი სწავლობს. სწორედ მისწრება იყო ამ სკოლის გამართვა დორეშლებისათვის.

*** გურია: არ შემიძლიან არ ვაცნობო მკითხველებს ერთი სასიამოვნო ამბავი. გურიაში რამდენიმე წელიწადია აბრეშუმის წარმოება მიეიწყებული იყო, რადგანაც აქ არ მოიპოვებოდა კარგის ჯიშის აბრეშუმის თესლი. ხოლო ჩვეულებრივმა ადამის დროინდელ ჯიშის აბრეშუმის წარმოებამ არ მისცა ხეირი ჩვენს მანდილოსნებს და ამიტომ გული აუცრუვდათ იმ სასარგებლო წარმოებაზედ, რომელსაც ყველა ქვეყანაში დიდის ბეჯითობით ეპყრობიან. მაგრამ ამ ნაირს გულგრილობას აბრეშუმის წარმოების საქმეში სასიამოვნოდ ჩვენდა თანდათან ბოლო ელება. საზოგადოდ გურულ ქალებს ძლიერ დიდი სურვილი აქვთ ყოველ ახალ საქმისა და ეს ახალი საქმეც მალე გაუჩნდათ. ამ ორის წლის წინად ზოგიერთ სოფლის სკოლის მასწავლებლებს დირექციიდგან მოუვიდათ საზღვარ-გარეთის აბრეშუმის თესლი. მასწავლებელთაც გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი ამ ახალ აბრეშუმის წარმოებას, და იმათმა შრომამ არც ამაოდ ჩაიარა. ამ აბრეშუმის ჯიშმა კარგად იხეირა ჩვენში. მასწავლებლების მაგალითმა კარგად იმოქმედა გურულ ქალებზე და ეხლა თითქმის ყველა მათგანი სცდილობს შეიძინოს ამ უკეთესის ჯიშის აბრეშუმის თესლი. ხოლო, რა თქმა უნდა, საზოგადოდ ყველას არ მიუწვდებოდა ხელი, რომ შეეძინა ეს თესლი, მაგრამ აქაც გამოუჩნდათ სხვათა შორის ერთი-ორი მადლიანი კაცი, რომლებმაც ხსენებულის თესლის შესახებ განცხადებანი დაურიგეს ყველა სოფლელებს, რომ ჩვენა გვაქვს დაბარებული და მსურველთ ნასყიდობაზედ დაუთმობთო.

*** ოზურგეთი: თებერვლის 23 აქაური მაზრის უფროსი წავიდა ბათუმში, სადაც გადაყვანილ იქმნა პოლიცმეისტრად. ამ ნაირ შემთხვევისათვის ჩვენ გურულებს ჩვეულება გვქონდა, რომ აქ ნამსახური კაცი, გინდა მაზრის უფროსი ყოფილიყო და გინდა სხვა, რაკი მოგვშორდებოდა, უნდა გაგვეკეთებინა სადილი და ერთიც რაიმე კარგი ნივთი სახსოვრად მიგვერთმია. მაგალითად ავიღოთ ამ ორის წლის წინად მაზრის უფროსად ნამყოფი, ბ-ნი ეიროზოვი. ეიროზოვს წასვლის დღეს საზოგადოებამ გაუკეთა სადილი, რომელზედაც თითქმის ყველა ოზურგეთის მცხოვრები დაესწრო და ნიშნად პატივისცემისა ვერცხლის სურა მიართვა. ნახევარმა იქ მყოფმა რკინის გზის სადგურამდეც მიაცილა, ბ-ნი ეიროზოვი და ყველანი დიდის სინანულით გამოეთხოვნენ. იმის შემდეგ გამომძიებელი წავიდა და, რასაკვირველია, ამასაც ჩვეულებრივი სადილი გაუკეთეთ და ერთიც ვერცხლის სათუთუნე მივართვით შემდეგის წარწერით: „ბ. ტერსტეფანოვს სახსოვრად გურიის საზოგადოებისა“. ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი სმეკალოვი გადაიყვანეს და, შეიტყეს თუ არა გურულებმა, რომ გუბერნატორი გადაუყვანიათ და ამა-და-ამ დღეს გამოივლის ბათუმიდგან მომავალიო, იყიდეს ერთი ძვირფასი აქაური ფიშტო, დაახვედრეს ლანჩხუთის რკინის გზის სადგურზედ რამდენიმე გურიის წარმომადგენელი და ამ ნაირად გაასტუმრეს დიდის ამბით. დღეს-კი ამისთანა ჩვეულებას ზურგი აუქციეთ და ბ-ნ ევგოროვს (მაზრის უფროსად იყო) მხოლოდ მარტო სამხედრო და პოლიციის სამსახურის კაცებმა გაუკეთეს სადილი, რომელზედაც აქაურ საზოგადოებიდგან ხუთი კაციც არ დასწრებია. სახსოვრად ხომ არავითარი ნივთი არ მიგვირთმევია. ასეთია მატიანე ჩვენის ცხოვრებისა, ხოლო განსჯა მისი სხვისათვის დაგვეითმია.

*** სოფ. საყდრიონი: ამ რვა-ცხრა წლის წინად საყდრიონის საზოგადოებამ, რომელშიაც ერწოში მდებარე ცხრა სოფელი ირიცხება, დაადგინა განაჩენი გაემართა სოფელს საყდრიანში ორ-კლასიანი სასწავლებელი. ხარჯი, საჭირო ამ სკოლის შენახისათვის, საზოგადოებამ თითონ იკისრა, გაიწერა და განაჩენი წარუდგინა თიანეთის მაზრის უფროსს, რომ ამ უკანასკნელს ტფილისის გუბერნატორისათვის წარედგინა. გუბერნატორმა დაამტკიცა საყდრიონის საზოგადოების განაჩენი და დაუბრუნა მაზრის უფროსს უკან. მას შემდეგ მეცხრე წელი სრულდება და ერწოელებს-კი ჯერაც არ ეღირსათ სასწავლებლის დაარსება! საკვირველია ვიცოდეთ, რა იქნა განაჩენი საყდრიონის საზოგადოებისა, ან რატომ არ მოვიდასისრულეში? თუ თუ იმისთანა კეთილი განზრახვა, როგორც ორ-კლასიან სასწავლებლის გამართვა იმ მხარეში სადაც გლეხ-კაცობა სრულებით მოკლებულია სწავლას, შესრულებულ არ უნდა იქმნას?

## ქალაქის საბჭო

5 მარტი

მორიგ საქმეთა შორის კრებამ განიხილა სარჩიელი გამგეობისა, თუ რომელი და რომელი ახლად განზრახული ლიანდაგი ცხენის რკინის გზისა სასურველი და საჭიროა ჩვენის ქალაქისათვისაო. ჩნდებიან კონცესიონერები, რომელნიც სთხოვენ გამგეობას—ნება მოგვეცით ამა-და-ამ ქუჩებზე გავიყვანოთ ახალი ლიანდაგებიო. ამასთან ქუჩა მრავალია და, რადგან გამგეობა ჰფიქრობს, რომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ქალაქს ყოველ ქუჩაზე რკინის გზები ჰქონდეს, ამიტომ გამგეობამ თითონ შეადგინა პროექტი, სად და სად არის სასურველი ლიანდაგების გაყვანა. გამგეობის სარჩიელით საჭიროა შემდეგი გზები—მიხეილის ხიდიდგან არსენალზე კახეთის მეიდნამდის და აქედამ ნავთლუღსა და სასაფლაომდე, უკეთუ იქ გადატანილ იქმნა ეს უკანასკნელი. მეორე ლიანდაგი უნდა წამოვიდეს კახეთის მეიდნიდამ ციციშვილის აღმართით მუხრა-

---

— გაუშვით! დაუყვირა ნიკომ ჩაფრებს, რომელნიც ოდნავ მოსურიელებულს სოსეს ხელებს უკრავდნენ და ძლივს იგერებდნენ ლათოს, რომელიც გამწარებით ელობებოდა წინ. გაუშვით-მეთქი, დაუყვირა კიდევ და თავ-დავიწყებულმა ერთს ჩაფარს სილა გაარტყა.

— გაათრიეთ, ეს ლაწირაკი! უბძანა უფროსმა ჩაფრებს, რომელნიც ვერა ჰბედავდნენ ნიკოსთვის ხელი მოეკიდნათ.

— როგორ! მე გამათრიონ? მე ვარ გასათრევი, შე უნამუსო, შე სისხლის მსმელო? მერე, იცი, ვისთანა გაქვს საქმე, შე სამშობლოს ვაჭარო, შენა! ეხლავ გაანთავისუფლე-მეთქი, თორემ შენს გაჩენის დღეს დაგაწყევლინებ! ეს ქალი რისთვის არის აქ, შე თავსლაფ-დასხმულო! სთქვი, უსირცხვო, სთქვი, რას გაჩუმებულხარ?!

უფროსი შიშმა აიტანა. იმან იცოდა ნიკოს ჩამოსვლა, მაგრამ ჯერ სულ ყმაწვილი ბიჭი ეგონა და ეხლა რომ კარგა ჩააჩერდა იმის მედიდურსა და ქვეიანს სახეს, ვერ შესძლო გამაგრებოდა ნიკოს მრისხანე თვალებს და აღელვებულმა არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ნანობდა გაჯავრების გამო გაცემულს ბრძანებას, კადნიერებით წარმოთქმულს სიტყვებს, მაგრამ გვიან-ღა იყო, ბოდიშის მოხდაც აღარ შეეძლებოდა.

— ბატონო, უთხრა იმან ბოლოს ოფიციალურის კილოთი; მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ და თქვენ აქ მეტი ბძანდებით.

— დიაღ, მეტი ვარ, იმიტომ-რომ უწესოებისა და უპატიოსნობის ჩადენას გიშლით?! მე ჩემს ალაგასა ვარ და გიბრძანებთ ამ კაცის განთავისუფლებას—გესმით თუ არა—ეხლავე! დაუყვირა ნიკომ უფროსს.

— ჩქარა!.. მოისმა გარედგან ძახილი ხალხისა, რომელიც ამ ყვირილზე შეყრილიყო.

საქმეს ცუდი ბოლო ელოდა. ხალხიც ჩაერია საქმეში, მაგრამ უფროსს ხალხისა არ შეეშინდებოდა, რომ ეს მოსარჩლე არ გამოსჩენოდა. ხალხისა და ნიკოს სურვილი შეესრულებინა და სოსე განეთავისუფლებინა, ვითომ თავის დამცირების მეტი რა მოჰყვებოდა ამას. არა, იფიქრა უფროსმა, ისევ სჯობია მოსარჩლე დავძლიო და ამით ხალხიც შევაშინო. ის ის იყო თავის განზრახვის შესრულებას აპირობდა და უნდოდა შეეტია ნიკოსთვის, მაგრამ ამ დროს ნიკომ მოჰხვია ხელი ლათოს და გამოიწია გარედ გამოსასვლელად.

— მაშ, არ გინდათ, ჩემი ბძანება შეასრულოთ! დაუყვირა ნიკომ კარებიდგან, იცოდეთ, რომ ინანებთ, იცოდეთ, რომ ჩემს სიცოცხლეს გავწირავ და თქვენისთანა სულ-მდაბალს კაცებს-კი მიწასთან გავასწორებ, გაგანადგურებ!

— მიბძანდით, უთხრა დაცინვით უფროსმა.

ხალხმა გზა მისცა ნიკოს და იმ ნაირად შესცქეროდა მიმავალს, თითქო გულით უნდოდა, ერთი სიტყვა კიდევ ზაინც გაეგონა იმისი. ჯერ ნიკო ხალხს არ გასცილებოდა, როდესაც ლათომ, რომელიც მწარედ ქვითინებდა იმის მკლავ-შემოხვეული, უცბად საცოდავად წამოიკვნესა და თითით ანიშნა მოხუცზე, რომელიც შიოს ცოლს მოჰყავდა ძლივ-ძლივობისას. ამ დროს ჩაფრებმაც გამოიყვანეს გაკავებული სოსე. ხალხი შეიძრა და იმისმა გუგუნმა ნიკოს თმა მაღლა აუბუძგა; უნებლიედ მიიკრა ლათო გულში და მთლად აკანკალდა. „უბედურება მოხდება სწორედ!“ გაიფიქრა მან გულში და სულ-განაბული ელოდა ამ აღელვების დასასრულს.

— სად მიგყავთ, სადა? იკითხა ერთხმად ხალხმა და სოსეს შემოერტყა გარეშემო.

— შვილო!.. მოისმა უცებ მოხუცის ხმა და ამ ხმამ ელექტრონივით დაურბინა ყველას ტანში

— თომა!.. მოხუცი... ნუ ვეტყვით... გაისმა ყრუდ ხმა ხალხისა.

— რა ამბავია?.. რას ნუ მეტყვით?.. წარმოსთქვა ხმის კანკალით თომამ: ერთ-ერთი შვილი მომგვარეთ!..

ლათო ტირილით გაექანა მოხუცისაკენ. ამ დროს უფროსიც აივანზე გამოვიდა და, რა დაინახა შეკრებილი ხალხი, მრისხანედ დაუყვირა:

— რას შეყრილხართ, თქვე ძაღლებო! გარეკეთ აქედამ მათრახის ცემით! უბძანა ჩაფრებს.

ამ სიტყვებზე ყველამ ზურგი შეაქცია უფროსს, მაგრამ წასვლით კი არავინ მიდიოდა.

— რას ერიდებით, დაჰკარით! დაუყვირა უფროსმა კიდევ.

და აი, იმ დროს, როდესაც იმ ღამის მთვარე ვერცხლებრივ სხივ-მომფინარე ყოველ უგულოს გულს ჩაუდგამდა და ატირებდა; იმ დროს, როდესაც მოხუცის გამხმარს გულს უმანკო ქალის ცრემლი ალბობდა და თეთრ-ჭღარა წვერზე უსინათლოს ცრემლი დილის ცვარსავით თრთოდა; იმ დროს, როდესაც ბუნების ძილს თვით ბულბულიც-კი არ არღვევდა თავის სტვენით, ამ დროს გაისმა კაცის ზურგზე მათრახის ქაპა ქუპი და მასთან ერთად საზარელი ბრძანება:

— დაჰკარით ძრიელ! ჰყვიროდა გახელებული უფროსი ეგზეკუციისა. მაგათ ხარის ტყავი აქვთ, ვერას, ჰგრძნობენ!

და ჩაფრებმაც გულ-მოდგინედ დაუწყეს ცემა ხალხს. მაგრამ ხალხი იმათ ცემას არ ეპუებოდა და გაქვავებულსავით ალაგს არ იცვლიდა. ნიკო ჰკანკალებდა, ხმის ამოღება უნდოდა, მაგრამ კრიჭა შეჰკროდა და ენა ვერ ამოედგა.

— შენ რაღას მოთრეულხარ, ბებერო! დაუძახა ჩაფარმა და გადაუშხვილა მათრახი ბეჩავს მოხუცს, რომელიც ღმერთს ევედრებოდა სოსეს განთავისუფლებას.

მოხუცმა თავი მაღლა აიღო და თვალ-ქვემოდამ ცრემლის მაგიერად წითელ ზოლად სდიოდა სისხლი.

შესწყდა მათრახის ცემა და ყველა განურჩევლად გაოცებული შესცქეროდა მოხუცს. თვით ის გამბედავი ჩაფარიც-კი, ვინც შეიქნა მოხუცის დაშავების მიზეზი, ზარ-დაცემული უყურებდა თომას. ღამის ხელი მათრახიანად გაშეშებული ძირს ჩამოვარდნოდა. მყუდროებას ერთი ამოხვრაც არ არღვევდა. მხოლოდ ჰაერი, ამ ელვით და ხალხის სუნთქვით გახურებული, თითქო ღრუბლად ქცეულიყო და ზემოდ დასცურავდა შავს ნისლსავით. ნიკო გულის ძგერით ელოდდა ჭექა-ქუხილს.

ქუხილმაც არ დაიგვიანა. თითქო ნიშანი მისცა ვინმეო, ყველამ ხმა ამოუღებლივ ვეფხვსავით ისკუპა ზედი-ზედ და ერთ წამს ბრძოლამ ნიადაგი საშინლად შეძრა. შვიდს ჩაფარს ოცი კაცი შესდგა ზედ და გამწარებული დაუნდობლად წეწავდა. კრინტს არავინ სძრავდა, თითქო თითოეული კბილით იბრძოდა. ისმოდა მხოლოდ ხრიალი შეიღისა და ფშვინვა ოცის კაცისა. კაცს ეგონებოდა, ნადირნი და პირუტყვნი იბრძვიანო.

უცბად გაისმა ხრინწიანი ხმა ვილაცასი: „დაჰკა მაგათა!“ და ეს ორი სიტყვა, თითქო ზანიაო, ყველამ ერთხმად გაიმეორა.

ამ ხმაზე ნიკო უნებურად წამოხტა სისწრაფით, უნდოდა გაქცეულიყო, მოშორებოდა ამ სცენას, რომელიც ჰკუაზე შლიდა, მაგრამ ფეხის განძრევაც ვერ შესძლო, თითქო ანდამანტია სადმე და იმას შეუპყრიაო. თმაში ხელ-წაველებული იმ ნაირის შიშითა და ხვეწნით შესცქეროდა მოხუცს, რომელსაც გულ-წასული ლათო მკლავზე ესვენა, თითქო მისგან მოელოდა შველას, ან იმის მფარველობას თხოულობდა და იხვეწებოდაო.

ნიანთ ხიდზე რუსის ბაზრამდე. მესამე — ერევნის მეიდნიდამ ამალლების ქუჩით კოჯრის ასავალამდე, მეოთხე — ერევნის მეიდნიდამ ბენიამინის ქუჩით დახურულ ბაზარზე თათრის მეიდნამდე. დანარჩენი ლიანდაგი ჩვენთვის ჯერ საჭირო არ არისო.

ხმ. ყორღანოვი. უკეთუ ყველა მგ ოთხი ლიანდაგი ერთმანეთზე არ იქნება გადაბმული, მაშინ ორი განსაკუთრებული ბინა დასჭირდება კონცესიონერს ვაგონებისთვის, ორი „პარკი“, რაც დიდად გასაჭირი იქნება. ამიტომ გამგეობის სარჩიელი ისეთს დღეში აგდებს ახალს კონცესიონერს, რომ მალა უნებურად ხელი უნდა აიღოს გზების გაყვანაზე. მეც უარს ვაცხადებ, რომ აღარ მინდა ნათხოვნი კონცესია. მით უმეტეს, რომ რაკი მგ გზები ცალ-ცალკე ლიანდაგად ჩაითვლებაო, ბელგიელთა უსახელო საზოგადოების პირობის მალით, უფლება აქვს, რომელი ლიანდაგიც სართვიანად მიაჩნია, ამირჩიოს და გაიყვანოს გზა. თუკი უკეთესი ლიანდაგი იმას დარჩება, სხვები რა ხელთსაყრელისა იქნება მეორე კონცესიონერისათვის! ამიტომ საჭიროა ჯერ ისა, რომ ლიანდაგისათვის დასახელებული იყოს მხოლოდ თავი და ბოლო, ე. ი. ამა - და - ამ ადგილიდამ უნდა წავიდეს ამა - და - ამ ადგილამდეო, ხოლო თვით გზის მიმართულება არ იყოს გამოაშკარავებული, თორემ თუკი ყველაფერს ახალი კონცესიონერი გამოიკვლევს, დაანახვებს სიკეთეს ლიანდაგისას, რა საკვირველია, რომ ბელგიელნი მადაზე მოვიდნენ და დეპატრონონ სხვის გეგმას. მეორეც, საჭიროა დავაარსოთ კომისია, რომელმაც უნდა საფუძვლიანად გამოიძიოს, რომელი გზაა საჭირო და როგორის პირობებით უნდა იქმნას გაყვანილი. ამასთანავე მე არ მესმის, რად იწევს გამგეობა უკან და რატომ არ უნდა მუსრანის ლიანდაგი კონცესიონერს გადასცეს? ჯერ ხიდი არა გვაქვსო და როგორ გადმოვცეთო! საკვირველია. თუ კი მე არ მახრკოლებს მგ გარემოება, თუ კი თვით ხიდსაც მე ავაშენებ და ზედ გავატარებ ლიანდაგს, ნუ თუ ეს საზარალო იქნება ქალაქისათვის!

ხმ. ნიკოლაძე. ამ ათის წლის წინად ერთი ხეირიანი კონცესიონერიც არ გამოჩნდა ჩვენს შორის, რომ გაებედნა გზის გაყვანა, და ჩვენი ცხენის რკინის გზა უცხოელთა დარჩათ. ეხლა-კი კონცესიონერები თავს გვაბეზრებენ — თქვენი ჭირიმეთ, გზა გამაკეთებინეთო, არა, მე მომეცით კონცესია, არა მეო. ერთი საამიოდ წლის შემდეგ ყველა ხმოსანი კონცესიონერობას მოინდომებს და ამიტომ მე სრულიად ვეთანხმები ხმ. ყორღანოვს, რომ სწორეთ საჭიროა ამ საგანზე განსაკუთრებული კომისია დავაარსოთ, რომ განიხილოს ხოლმე ახალი გეგმები.

ხმის უმეტესობით კომისია იქმნა ამორჩეული ხმოსანთა შორის. კომისია შესდგება შვიდის წევრისაგან, რომელთა შორის იქმნებიან ხმ. ნიკოლაძე, ევანგულოვი, მაქსიმე, მელიქ-ყარაკოზოვი და სხვანი.

ამას შემდეგ, იმ ქალაქის თავმა, ბ-ნმა მატინოვმა, სთხოვა საბჭოს განხილვა წინადადებისა, რომ ცხენის პატრონებს კიდევ ორი თითე ვადა მიეცეს ხარჯის შემოსატანად. ბევრმა არ იცოდა სისასტიკე ამ ახალის წესდებულებისა და დროზე ვერ შემოიტანეს ხარჯიო. შემოუტანლობისათვის მანეთზე 24 კაპეიკი დაწესებული ჯარიმა და გთხოვთ ორი თითე კიდევ მივცეთ ვადა და შევამლებინოთ ხალხს ამ ხარჯის გადახდაო. მარტო იმას გამოერთვას ჯარიმა, ვინც აპრილის გასვლამდე არ შემოიტანს ფულსაო. საბჭომ ერთხმად მოიწონა წინადადება თავმჯდომარისა.

თუმცა გვიან იყო, მაგრამ მაინც საბჭო შეუდგა ამ წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვას. თანხმად საფინანსო კომისიის სარჩიელისა და წინადადებისა გამგეობის აზრისა, საბჭომ დაადგინა სამს ტეხნიკოსში ერთ-ერთი დათხოვნილ იქმნასო, რადგან მაგდენი საქმე არა აქვთ-რა ტეხნიკოსებს და ვამაგირი-კი ბლომად ეძლევათ, ას ოთხმოცი თუმანი წელიწადშიო. თანხად გამგეობის წინადადებისა, საბჭომ 300 მანეთი მოუმატა ჯამაგირი უფროსს ბუხჰალტერს, 200 მანეთი კასირის თანაშემწეს, 180 მანათი საქმის მწარმოებელს საბჭოსას. განხილვა ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენ მუხლებისა გადადებულ იქმნა შემდეგის კრებისათვის.

◆◆

## ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ნიუ-იორკში ამას წინად ერთი მდიდარი კაცი გარდაიცვალა, გვარად ჯონ ასტორი, რომელსაც ნიუ იორკის საუკეთესო ქუჩებზედ ათასიობითა ჰქონდა საუცხოვო სახლები, მილიონობით წლიური შემოსავალი შემოსდიოდა და სიკვდილს შემდეგ-კი 300.000,000 მან. დასტოვა. როგორც ეს ასტორი, ისე ამისნი მამა-პაპანი დიდი ქველმოქმედნი იყვნენ და ყოველთვის უნაწილებდნენ ქვეყანას თავისს სიმდიდრეს, იმ ქვეყანას, რომელსაც იმათთვის სიმდიდრე შეეძინა. მაგალითებრ, უკანასკნელმა ასტორმა ნიუ-იორკის წმ. ლუკას სახელობაზედ დაარსებულს ქსენონს უანდერძა 200,000 მან., ჭკუით სნეულებისთვის დაფუძნებულს ქსენონს — 200,000 მან., სამხატვრო მუზეუს — 100,000 მან., ასტორის წიგნთ - საცავს — 50,000 მან. და სხვა და-სხვა სალიტერატურო და სამხატვრო საქმეს — 320,000 მან. ასტორის სიკვდილის ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამ შეძლებულის კაცის გარდაცვალებამ სამი საყურადღებო წერილი გამოიწვია ამერიკას ჟურნალებში „Forum“-ში

ტომას შირმანი ამტკიცებს, რომ უსამართლოდ სთქმიან ამერიკას ისეთ ქვეყნად, სადაც ქონება, სიმდიდრე ცოტად თუ ბევრად ყველაზედ უფრო თანაბარად არის განაწილებულიო. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, შეერთებულს შტატებს ჰპატრონობს 250,000 კაცი, თუმცა მკვიდრთა რიცხვი 50.000,000 მდეა, ასე რომ სამოც არათერის მქონეზედ ერთი მფლობელია და დანარჩენნი სულ ღარიბნი არიან. თუ გარემოება არ შეიცვალა, ოც-დაათის წლის შემდეგ მთელს შეერთებულს შტატებს 50,000 კაცი დაეპატრონებაო.

დანარჩენი ორი წერილი დაბეჭდილია „North American review“-ში, მდიდართა და შეძლებულთა მოვალეობას შეეხება და სათაურად აწერებული სახელი აწერია: „სახარება სიმდიდრისა“. ამ წერილების ავტორი შოტლანდიელი ანდრიე კარნეჯია, დიდად შეძლებული კაცი ამერიკისა. იგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ

სიმდიდრის ერთს ალაგას თავ მოყრა წინდია უმეტესობის ბედნიერებისა, რადგან ერთი შეძლებული კაცი უფრო დიდად სასარგებლოდ დაჰხარჯავს ერისთვის 20,000 მან., ვიდრე ათასი — თითო თუმნობითაო. ხოლო ფულის, ქონების ერთის ადამიანის ხელში შეგროვებამ რომ სარგებლობა მოიტანოს, შეძლებულთ უნდა შეასისხლ ხორცონ ის ჭეშმარიტება, რომ პატიოსანის ადამიანისთვის სწორედ დიდი სირცხვილია მდიდრად სიკვდილი, სიკვდილი მაშინ, როდესაც თავისი ქონება საზოგადო გაჭირების დასაკმაყოფილებლად, სურთ წყლულის სალბუნებლად არ მოუხმარებია. ჯერ ერთი, მილიონების პატრონს შეუძლიან უნივერსიტეტი დააარსოს და ამ შემთხვევაში ისევე მოიქცეს, როგორც იქცეოდნენ ამერიკაში კუპერი, გოსკინი, კარნელი, ვასსარი და სენატორი სტანფორდი, რომელმაც ამას წინად 200.000 000 მანათი შესწირა დიდ ოკეანეს სანაპიროზედ უნივერსიტეტის დასაარსებლად; შეუძლიან გაჰმართოს საჯარო მუქთი და უფასო წიგნთ საცავები, ისეთი, მაგალითებრ, როგორიც თითონ დაუმართავს ამერიკასა, შოტლანდიასა და ინგლისში; ხელი უნდა შეუწყოს სამკურნალოთა საქმეს, საქიმიო ლაბორატორიებს, ბაღების გაშენებას, სამუსიკო დარბაზებსა და საჯარო საბანებლებს. კარნეჯი ეკკლესიას მეშვიდე ადგილს უთმობს და აი ამიტომ გლადსტონმა, რომელმაც დიდის თანაგრძნობით მოიხსენია საზოგადოდ ეს „სახარება სიმდიდრისა“, საყვედური უთხრა ეკკლესიის ასეთის დაქვეითებისათვის.

თავის წერილს შემდეგ ეს მილიონების პატრონი ამბობს, რომ ჩემი „სახარება სიმდიდრისა“ სახარების სიტყვებზედა მ ქვს დაფუძნებული და როცა მილიონების პატრონები თავისს უშველებელს ქონებას საწყალთა, ღარიბთა და უშემწეოთა სასარგებლოდ ჰხარჯავენ, მაშინ ისინი ქრისტიანის მოვალეობას ასრულებენ და აღარ დაერქმევათ სახელი სამარცხვინო ძუნწისა და კრიჟანგისა, რომელიც უსარგებლოდ განძს ზედ დაჰკანკალებს და დასცახცახებს, ზედ აკვდებაო.

◆◆

## უცხოეთი

საფრანგეთი. გარეშე საქმეთა მინისტრს დეპუტატმა ლოქმა ბევრი

---

— იკმარეთ, შვილებო! გული მოიბრუნეთ, ღმერთს არ აწყენინოთ! წარმოსთქვა მოხუცმა ამ ხმა-ამოუღებელ ბრძოლის დროს და თავისი გრძელი ჯოხი იმ ნაირად გაიშვირა წინ, თითქო ყველას ცოდვის შენდობას აველრებს ღმერთსაო.

მოხუცის ხმაზე ყველა ნელა წამოდგა და გალეშებულებსავით ბლეერით, პირის ცმაცურით, თითქო ჯერ კიდევ ვერ გამძღარან მტრის სისხლის სმითაო, გაშლართულს კაცებს გარს დასტრიალებდა.

— უფროსი გაიპარა!.. წამოიკვნესა სოსემ, რომელიც მოშორებით ეგდო ხელებ-გაკრული.

ამ ხმაზე ყველამ ერთმანეთს შეხედეს და ხმა-ამოუღებლივ, თითქო ერთმანეთის მოსაზრება ესმოდათ, კანცელარიაში ჯგუფად შევარდნენ. მერე იქიდგან იმავე სიჩუმით გამოსცვივდნენ და იმ დროს, როდესაც ყოველი თავისთვის ჰფიქრობდა, საითკენ წავიდეო, ერთმა დაიძახა: „აიგერ... ვერ წაგვივა!“ და რა ყველამ დაინახა გამოყვანილი ცხენები, რომლებზედაც ის-ის იყო შესხდომას აპირებდნენ გაპარვის მსურველნი, საშინელის სიჩქარით იქითკენ გაეშურნენ. თითქო ქარმა გაიტაცაო, ნიკოც იმათ უკან გაედევნა.

— მამასახლისო, იუდა, ნუ აპარებ მაგათ! დაიძახა ერთმა.

მამასახლისს, რომელიც უფროსს ცხენზე შეჯდომას შველოდა, ლახვარსავით მოხვდა გულში ეს სიტყვები და სირცხვილით თუ სინანულით თავი დაღუნა და გულმა ღელვა დაუწყო.

— გაუშვი ცხენს, რაღას გიჭირავს! დაუყვირა მამასახლისს უფროსმა, რომელიც უფროსობას ჯერ კიდევ თავს არ ანებებდა.

— ვერა... ვერ წახვალ! აკანკალებულის ხმით შეუტია მამასახლისმა და ისე ღონივრად ჩამოჰკრა ალვირი ცხენს, რომ ცხენი ყალყზე შედგა.

ჩაფრებმა დაჰკრეს ცხენებს და ბატონს არ მოუცადეს. აგერ გაბრაზებული ხალხი ცხენიანად გაჰგლეჯს თავის უფროსს!.. უცბად მთვარის შუქზე ხმალმა გაიკრიალ ... გახტა ცხენი და იქ, სადაც ის ტოტებსა სცემდა, თავ-გახეთქილი მამასახლისი მიწაზე გაშლილი დასტოვა.

— ვერ წაგვიხვალ, ვერა! დაიჭი! გაჰკიოდა ხალხი და შორს ჩამორჩენილი მაინც კიდევ მისდევდა.

ნიკო უგრძნობლად მიწაზე გაშოტილს მამასახლისს წაადგა თავს და შეჩერდა. შუბლზე ხელი მოისვა, რომ პატარა გონზე მოსულიყო, დალალულსავით ჩაიჩოქა და დაჭრილს აქაიქა ხელს აელებდა.

— დამეხსენ... დედ, მოვკვდე!.. წამოიკვნესა მამასახლისმა ისე წყნარად, ისე მშვიდობიანად, რომ ნიკო სრულებით გამოფხიზლდა და მხოლოდ მაშინ გამოერკვია ცხადად, რაც მოხდა და რა სცენის დამსწრეც იყო. ახლა უკვე გონზე მოსული შიშითა და კრძალვით შეჰყურებდა სიკვდილივით ძლიერს ხალხს და შემხედვარეს თავისი თავი ბუზბუშელადაც აღარ მიაჩნდა. ხალხი ბუტბუტით მოუახლოვდა ნიკოს, რომელიც ამაოდ სცდილობდა თავის ქილეტით მამასახლისისათვის თავი შეეხვია. ყმაწვილი კაცი კრძალვით წამოდგა და, თითქო ბოდიშს იხდიდა, რომ მე აქ მეტი ვარო, თავის ადგილი ხალხს დაუთმო. ხალხი მამასახლისს გარს შემოეხვია. ზოგმა ფეხი წაჰკრა, ზოგმა მოისაზრა მაჯის გაშინჯვა და ზოგიც ტყუილად დასცქეროდა

— რაღას აწვალებთ, კაცი კიდეც გათავებულა, სთქვა ერთმა ისე უკმეხად, რომ ნიკომ ცახცახი დაიწყო. ხალხი, რომელსაც ნიკო მოშორებით გაედევნა უკან, ჩქარის ნაბიჯით ისევ კანცელარიისკენ წავიდა. წელანდელს თავის ალაგას იდგა ისევ თავჩამოკიდული, ჯოხზე დაბჯენილი მოხუცი. იმის მოშორებით, გულ-ხელ დაკრეფილი სოსე ჯირკზე ჩამომჯდარიყო და ნაღვლიანად დასცქეროდა ლათოს, რომელიც თავის ძმას ფეხებს უხსნიდა.

ხალხი ჯერ კანცელარიასთან არ მოსულიყო, როდესაც წინ შეეჩეხა შიო, რომელიც შურდულივით გამოქანებული მოდიოდა.

— რა ჰქენით, თქვე ულმერთოებო! რაზე გაუშვით! ვინც მოსაკლავი იყო, ის არ მოჰკალით! შესძახა შიომ გულის ტკენით და გულ-მოსულის ხალხის სიჩუმეში იმის ყვედრება და ჩივილის ხმა-ღა ისმოდა.

— სხვები რაღა იქმნენ? იკითხა ერთმა, როდესაც დაინახა, რომ ერთის ჩაფრის მეტი მიწაზე აღარავინ ეგდო.

— მე მკითხავ, რა იქნა! წამოიძახა სიანჩხლით შიომ: რა იქმნენ და გაიქცნენ! ჩემ თვალ-წინ გაიპარნენ, იმ ბოსლიდგან გამოიყვანეს ცხენები, სადაც მე ვიყავი დამწყვდეული! ვაი დედიჩემის ღმერთსა! როგორ მომატყუეს! რა ვიცოდი, თორემ ის იუდა ივანე მაინც ცოცხალი ვერ წამივიდოდა!

ნიკო ნელა მიუახლოვდა მიწაზე გაშლილს ჩაფარს და მაჯა გაუსინჯა: სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. თავი გაიქნია და თითქო თავისთვის სთქვა:

— ეს რა უბედურება მოხდა! ხომ დაიღუპა სოფელი!.. რას აპირობთ, ჰა?..

— შენ მოგვშორდი თავიდგან, არ დაგვეხსნები? რასაც ვაპირებთ, ვერ გაიგებ?! უთხრა ერთმა უკმეხად.

— დაგვეხსნენ-კი არა, ეგეც მაგას უნდა გავადევნოთ?! წამოიძახა შიომ.

ნიკო გულ ხელ დაკრეფილი შესცქეროდა ხალხს, რომელიც კუპებ-შეკრული უბღვეროდა და რაღასაც ბუტბუტებდა მუქარით, მაგრამ იმათმა მუქარამ ნიკოს გულში ერთი ბეწვა შიშიც ვერ აღძრა, პირ-იქით, ისე თავისუფლად ეჭირა თავი, თითქო მოწონებას ელის ხალხისაგანაო.

— რას მოგვჩერებიხარ! წამოიხრანტალა შიომ და მრისხანედ გამოექანა ახალგაზდა კაცისაკენ.

— გაჩერდით! შესძახა რახიანის ხმით სოსემ, რომელიც შიოს წინ დაერჭო ბოძსავით და შორს გასტყორცნა. ძმას ძმას ნუ მოაკვლევინებთ! მანამ ცოცხალი ვარ, ამას ხელს ვერავინ ახლებს!

ამ სიტყვებზე ნიკოს საშინლად გააჟრჟოლა, თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა. შეჰყურებდა იმათ, ვისაც მისი გაგლეჯა უნდოდათ.

— მოშორდი!.. მოშორდი, შენი ჭირიმე!.. ეხვეწებოდა ლათო და ულონოდ ეწეოდა ნიკოს შინისაკენ.

ხალხს თითქო შერცხვა თავის განზრახვისა. პირდაპირ ვეღარავის ვერ შეეხედნა იმისათვის, რომელსაც არავითარი დანაშაულობა არ მიუძღოდა სოფლის წინაშე და ამიტომ ყველას თამამად და გაბედვით შეჰყურებდა.

— ნუ იწყენ, შენი ჭირიმე, ნუ! თითონაც არ იციან, რას სჩადიან! მოშორდი, ბატონო, შენი ჭირიმე! დაუწყო ხვეწნა სოსემ.

ნიკო ნელა მოტრიალდა და თავჩაღუნული სახლისაკენ გაემართა. როდესაც აივნის კიბეზე ფეხი შესდგა, უცბად შეჩერდა და ნაღვლიანად სთქვა:

— რაზე გადაელობა, რაზა!.. დედ, გაეევლოჯენეთ!.. დააპირა გამობრუნება, მაგრამ ლათო, რომელიც ცოტა მოშორებით უკან მოსდევდა, ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა, შემოეხვია მუხლებზე და ტირილით შეევედრა: „ნუ, შენი ჭირიმე! ნუ მომკლავ, ნიკო!“

— საყვარელო დაო, თუ სხვას ეძულვარ, შენ რაღად შეგყვარებივარ აგრე! ნიკო მოეხვია ლათოს და მხურვალედ გულში ჩაიკრამე: მიყვარს ისინი და იმათ-კი ეძულვარ... ღმერთო, ღმერთო!

აღელვებული ნიკო შევარდა სახლში და პირ-ქვე დაემხო ლოგინზე...

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

ისეთი საყვედური უთხრა და ისეთი რამ დასწამა, რასაც მხოლოდ ჟულ ფერრისა სწამებდნენ ოდესმე: გერმანიას ელაქუცები, სამშობლოსა ჰყიდი, რადგან გინდა ბერლინის კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენელნი გაჰგზავნოო. ლორმა სთქვა, რომ მაგისი პოლიტიკა სწორედ ფერრის პოლიტიკააო. რაკი წარმომადგენლებს გავგზავნით ბერლინში, ჩვენის მტრების სამეუფო ქალაქში, მაგით ვითომც უარი გვითქვამს ელზასსა და ლოტარინგიაზედ, რომელიც გერმანელებმა წაგვართვესო.

მეტი ღონე არ იყო, სპიულერს უნდა პასუხი მიეცა ბულანჟელების მომხრე დეპუტატისათვის. სპიულერი-კი ისეთი კაცია, რომ ლაპარაკი და მერე ისიც საჯაროდ პალატაში არ უყვარს, არც ეხერხება. არ ეხერხება უფრო იმიტომ, რომ ლაპარაკში გაბედულობა არა აქვს. ამ ხანად-კი ილაპარაკა დიდის გაბედულობით და ცხადად დაამტკიცა, რომ ნამდვილი ორატორობის ნიჭი ჰქონია. სპიულერმა სთქვა, რომ ბერლინის კონფერენცია უბრალო საერთაშორისო ბჭობაა ზოგიერთ ყველასათვის საყურადღებო საქმის შესახებ და ამიტომ არავითარი მიზეზი და საბუთი არა გვაქვს ჩვენი წარმომადგენლები არ გავგზავნოთო იქ. დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს ხომ არა ვგზავნით, ნასწავლს კაცებს, ეკონომისტებსა ვგზავნით და იმათშიაც ისეთებს ვარჩევთ, რომელთაც ზედ-მიწევნით იციან მუშა-ხალხის მდგომარეობა და ვითარება მუშაობისა ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში. ამას გარდა, რაც იქ გადაწყდება, ჩვენთვის სრულიად სავალდებულო არ არის, ისე რომ ბერლინის კონფერენციაში ჩვენ მიერ მონაწილეობის მიღება სრულიად არაფრით არ არღვევს ჩვეულებრივს დენას საყოველდღეო ცხოვრებისას. ამ საქმეში ახალი სრულიად არაფერი არ არის და თუ არის რამე ახალი, მხოლოდ ის არის, რომ რესპუბლიკა მიდის იმ კრებაზე, რომელსაც მოუწოდა მონარქიულმა სახელმწიფომ, და იქ გამოაცხადებს თავის აზრებს სამართლიანობისასა და თავისუფლებისას. დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთი გაბედულობითა და დაურიდებლად გამოაცხადებს იქ, რომ ჩვენი ქვეყანა მომხრეა გონიერობისა, ადამიანობისა, განათლებისა და წარმატებისაო. ამ სიტყვებმა ძალიან აამა პალატას, მაგრამ პალატას აღტაცება დაეტყო მაშინ უფრო, როცა, სპიულერმა მადლობა გადუხადა პარლამენტს და უთხრა, რომ ულირსი ცილი დამწამეს, ვითომ საფრანგეთის დამცირება და გაყიდვა მომიწადნია და თქვენ მხარი მომეცით, არ დაიჯეროთ ესეთი ცილის წამებაო. კონსერვატორმა კასანიაკმა დაიძახა ამ დროს ხმა-მაღლა: უცნაური პალატაა! როგორც-კი გარეშე პოლიტიკაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, აღარც უმეტესობაა, აღარც უმცირესობა, ყველა ერთ კაცად გადიქცევა ხოლმეო. ასტყდა სიხარულის ტაშის ცემა ამ სიტყვების გამო და როცა კენჭი ჩამოუტარეს სპიულერის წინადადებას, აღარა სხვა მორიგ საქმეებს შეუდგეთ, თუ არაო, ოთხის კაცის მეტმა, ყველამ იმისი მხარე დაიჭირა პალატაში.

◆◆

# დეპეშა

6 მარტი

პარიჟი. ახალი სამინისტრო შესდგა. მთავარ-მინისტრად იქნება სამხედრო მინისტრი ფრეისინე; შინაგან საქმეთა მინისტრად კონსტანი; იუსტიციისა—ფალიერი; გარეშე საქმეთა—რიბო; ფინანსთა მინისტრად რუვიე; ზღვათა მინისტრად—ბარბე; სახალხო განათლებისა—ბურჟუა; მეურნეობისა—დეველი; ვაჭრობისა—ჟიულ როში; საზოგადო მოსაქმობისა—გიუგო.

სამინისტროს დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობას აქვს სახეში იმელმილევანელოს რესპუბლიკელთა უმეტესობის შეხედულობით და ამასთანავე ეცდება ქვეყნის ინტერესებს შეუთანხმოს თავისი მოქმედება.

ბერლინი. მუშათა საქმის გამო კონფერენციამ აარჩია სამი კომისია: შესახებ მუშებისა, რომელნიც ქარხნებში მუშაობენ; შესახებ მუშაობისა კვირაობით და შესახებ დედაკაცთა, მცირე-წლოვან ბავშვებისა და უმაწვილ-კაცების მუშაობისა.

დორმუნდში შესდგა ყრილობა მთამადნის მუშებისა, რომელთაც შრედერი ამოარჩიეს დელეგატად საერთა-შორისო კონგრესისათვის, რომელიც უნდა მოხდეს მაისს ბრიუსელში. ყრილობა დაშალა პოლიციამ.

გაზეთები ამბობენ; უკვე გადაწყვეტილი საქმეა, ანუ მალე გადაწყდება, რომ იმპერატორი შეიწყნარებს თავადის ბისმარკის თხოვნას სამსახურიდამ დათხოვნისას. თხოვნა გრაფის ჰერბერტ ბისმარკისა, როგორც გვარწმუნებს გაზ. „Berliner Tagblatt“ ი, იმპერატორმა არ შეიწყნარა.

პეშტი. ახალი კაბინეტა წარსდგა დღეს სეიმის წინაშე. საპარიმ გამოუცხადა, რომ კაბინეტი პოლიტიკაში მშვიდობიანობას ეცდება და მტკიცედ დაიცავს გერმანიასა და იტალიასთან დადებულს ხელშეკრულობას. ირანიიმ და აპონიიმ გამოაცხადეს, რომ წინანდებურად მოწინააღმდეგენი ვიქმნებით მთავრობისაო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მარტს.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გარიგებისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 31 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 145¾ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 08 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 238 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . . | 225 | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . | — | „ | — | „ | 218½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 87½ | | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | 99 | | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 98½ | | — | „ | — | „ |

საკალენდარო ცნობანი

—

ქრისტეს აქეთ ჩყჲ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

7 დღე ოთხშაბათი. ქართველ. წმ. მღვდელ-მოწამეთა ქერსონეთ ეპისკოპოსთა: ვასილი, ეფრემ, კაპიტონ, ევგენი და სხვათა. კათოლ. წმ. თომასი, პერპეტუი და ფელიციტისა. სომეხ. 24 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 6—55, ჩადის 6—12. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7, მთვარე 29 დღისაა.

8 დღე ხუთშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა თეოფილაქტე, ნიკოდიმელ ეპისკოპოსისა. კათოლ. წმ. ღმრთისმსახურებელისა იოანესი. სომეხ. 25 დღე დიდ-მარხვისა. გაზაფხულის დაწყება. მზე ამოდის 6—3, ჩადის 6—13. ჭეშმარიტი შუა დღე 12—8 მთვარე 30 დღისაა.

9 დღე პარასკევი. ქართველ. წმ. ორმეოცთა მოწამეთა, სევასტიას ტბასა შინა წამებულთა. კათოლ. წმ. კირილე და მეთოდი ეპისკოპოსისა. სომეხ. 26 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 6—1, ჩადის 6—14. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7, მთვარე 1 დღისაა.

10 დღე შაბათი. ქართველ. წმ. მოწამისა კოდრატესი და სხვ. კათოლ. წმ. ორმეოცთა წამებულთა. სომეხ. 27 დღე დიდ-მარხვისა წმ. სებასტია წამებულისა. პირველის ქართულის წიგნის მაღაზიის დაარსება ტფილისში 1878 წ. მზე ამოდის 6—0, ჩადის 6—15, ჭეშმარიტი შუადღე 12—7 მთვარე 2 დღისაა.

11 დღე კვირა. ქართველ. წმ. შორის მამისა სოფრომისა, იერუსალემის პატრიარქისა. კათოლ. წმ. კონსტანტინე, ევლოგია და პელაგიასი. სომეხ. 28 დღე დიდ-მარხვისა. წმ. იოანესი და სხვ. მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16. ჭეშმარიტი შუადღე 12—7 მთვარე 3 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა და აღმსარებელისა თეოფანესი. კათოლ. წმ. გრიგოლ დიდისა და ტიბერიასი. სომეხ 29 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. ჭეშმარიტი შუადღე 12—6 მთვარე 4 დღისაა.

—

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ რიცხვიდგან გამგეობაში შეიძლება იმ ცნობათა მიტანა, თუ ვის რამდენი ბუხარი აქვს გასაწმენდი. ცნობა უნდა შემოიტანონ ყველა სახლის პატრონებმა იმ ბუხრებ შესახებ, რომელიც დასახელებულ სახლებშია, სამზარეულოებში და აგრეთვე სახელოსნო და სამრეწველო დუქნებში. ესევე ცნობა შეუძლიანთ გვაცნობონ იმ ბუხრის მწმენდავთა პირით, რომელნიც გამგეობასა ჰყავს დაქირავებული. ცნობაში ნამდვილად უნდა იყოს აღნუსხული, თუ ვის რამდენი ბუხარი აქვს გასაწმენდი და აგრეთვე ადრესი. ამასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს თითო ბუხარზედ ორი შაური.

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათა—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ. | — კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ. | — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ | 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ | 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ | 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ | 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ | — „ | 3 | „ . . . | 3 „ | 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ | 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ | 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ | 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ | 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე